



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2021 წლის 1 ივნისი

დისციპლინური საქმე №145/20
ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- და -- -- 2020 წლის 14 დეკემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 15 დეკემბრის №-- წერილით მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ

წინასწარი შემოწმების შედეგად, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადდა 2021 წლის 12 თებერვალს №-- დასკვნა.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ გარემოებებზე:

საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ 2020 წლის 24 ნოემბერს, -- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის განხილვის პროცესში, განახორციელა ქმედებები, რომლებიც შეიცავს დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ:

- 1.1. არასრულწლოვანი მოწმეების დაკითხვის პროცედურის დაწყების წინ, მოსამართლემ არასრულწლოვნების ბარლდებული მამა დაასწრო სასამართლო სხდომას, რითაც დაირღვა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 52-ე მუხლის მე-11 ნაწილი;
- 1.2. მოსამართლემ არასრულწლოვან მოწმეებს შეუზღუდა ადვოკატის ყოლის უფლება და ხელი შეუშალა მათ ინტერესების დამცველ ადვოკატებს საადვოკატო საქმიანობის სრულყოფილად განხორციელებაში;
- 1.3. მოსამართლემ არ უზრუნველყო სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის, მხარეთა შორის თანასწორობის პრინციპისა და პროცესის მონაწილის ღირსების დაცვა.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2018 წლის 19 დეკემბერს სისხლის სამართლის საქმე -- -- მიმართ არსებითად განსახილველად გადაეცა -- -- სასამართლოს მოსამართლეს -- --

(დანაშაული გათავლისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 11¹, 151-ე მუხლით).

საქმის არსებითი განხილვის ფარგლებში, 2020 წლის 24 ნოემბერს, მოწმის სახით დაიკითხნენ ბრალდებულის არასრულწლოვანი შვილები - - - - და - - -. სასამართლო სხდომას ესწრებოდნენ -- ინტერესების დამცველი ადვოკატები: - - - - და - - - -.

-- -- და -- -- დაკითხვის პროცედურის დაწყების წინ, პროკურორმა -- -- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 52-ე მუხლის მე-11 ნაწილის საფუძველზე, სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით და ითხოვა მოწმეთა დაკითხვის წარმოება ბრალდებული მამის - - - - სასამართლო სხდომათა დარბაზში დასწრების გარეშე.

სასამართლო სხდომის 12 საათსა და 59 წუთზე, პროკურორის მიერ ზემოაღნიშნულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით, მოსამართლე -- -- განმარტა, რომ სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, მსგავს შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნებოდა თავად არასრულწლოვანი ბავშვების პოზიციის მოსმენა ბრალდებული მამის სასამართლო სხდომათა დარბაზში ყოფნა/არ ყოფნის შესახებ. მოსამართლემ აღნიშნული გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველად მიუთითა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-10 მუხლზე და განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მუხლი ეხება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის უფლებებს, ბავშვთა უფლებათა კონვენციის თანახმად, რომელიც წარმოადგენს უმაღლეს სამართლებრივ აქტს ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში, მე-10 მუხლის ჩანაწერი ეხება ყველა არასრულწლოვან ბავშვს. აღნიშნული მოტივაციით, მოსამართლე -- -- მიიღო გადაწყვეტილება მოესმინა არასრულწლოვანების აზრი შუამდგომლობაში დაყენებული საკითხის მიმართ.

სასამართლო სხდომის 13 საათსა და 2 წუთზე, მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება, ბრალდებულის სასამართლო დარბაზიდან დროებით გაყვანის თაობაზე, რათა მოესმინა არასრულწლოვანი ბავშვების პოზიცია მათი დაკითხვის პროცედურასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლემ მიიღო მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროკურორმა გამოთქვა შენიშვნა და ითხოვა მოსამართლისგან ბრალდებულის დარბაზიდან გაყვანა, ვიდრე გაირკვეოდა ბავშვების დაკითხვის პროცედურა.

საქმის მასალებით დადგინდა, რომ სასამართლომ პირველ ეტაპზე მოუსმინა -- --, რომელმაც თანხმობა განაცხადა მამის სასამართლო დარბაზში ყოფნაზე, თუმცა მოგვიანებით, მას შემდეგ რაც მოსამართლემ განუმარტა, რომ უფლება ჰქონდა არ მიეცა ჩვენება სასამართლოსთვის, -- -- უარი განაცხადა ზოგადად ჩვენების მიცემაზე. შესაბამისად, მოსამართლემ -- -- გაათავისუფლა ჩვენების მიცემის პროცედურისგან.

არასრულწლოვანი - - - - ჩვენების მიცემას დათანხმდა, თუმცა უარი განაცხადა მისი დაკითხვის პროცესში ბრალდებული მამის სასამართლო დარბაზში ყოფნის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო სხდომის ვიდეო ჩანაწერის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ არასრულწლოვანების მოსაზრებების მოსმენის მიზნით, ბრალდებული მამის სასამართლო დარბაზიდან გაყვანა სრულად არ იქნა უზრუნველყოფილი. კერძოდ, დადგინდა, რომ -- -- მოსაზრებების დასრულების ბოლო ეტაპზე, სასამართლო დარბაზში მოსამართლის მითითებით დაბრუნდა ბრალდებულ -- --, ხოლო -- -- მოსაზრებების მოსმენა დაკითხვის პროცედურებთან დაკავშირებით გაგრძელდა ბრალდებული მამის სასამართლო სხდომათა დარბაზში ყოფნის პირობებში.

2.2. საქმის მასალების შესწავლის შედეგად, მოსამართლის მხრიდან არასრულწლოვანების ინტერესების დამცველი ადვოკატების ხელისშემშლელი ფაქტები არ გამოვლენილა.

2.3. სხდომის აუდიო და ვიდეო ოქმებით ასევე არ გამოვლინდა სასამართლო დარბაზში წესრიგის დარღვევისა და პროცესის მონაწილის ღირსების შელახვის ფაქტი.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 12 თებერვლის დასკვნა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად მიიჩნევა მოსამართლის ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს (მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედება (ქცევა), ჩადენილი სასამართლოში ან მის გარეთ, რომელიც აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს და ამით ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას.

აღნიშნულთან მიმართებაში, მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები, რომელიც განსაზღვრავს მოსამართლის სტატუსთან შესაბამის ქცევას.

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნის 23-24 პუნქტების თანახმად, მოსამართლეებმა პატივისცემა უნდა გამოიჩინონ საქმის მონაწილე ყველა პირისადმი (მაგ., საქმის მხარეები, მოწმეები, ადვოკატი) რაიმე სახის განსხვავების გარეშე, რომელიც კანონს არ ეფუძნება ან შეუთავსებელია სამოსამართლო ფუნქციების ჯეროვნად შესრულებასთან. თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, მოსამართლეებმა უნდა იმოქმედონ ისე, რომ მათი პროფესიული კომპეტენტურობა თვალსაჩინო იყოს. მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები ჯეროვნად და დაიცვან მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, თავიდან აიცილონ რაიმე სახის მიკერძოება და დისკრიმინაცია, და შეინარჩუნონ ბალანსი მხარეებს შორის და უზრუნველყონ საქმის სამართლიანი განხილვა თითოეული მხარისათვის.

„სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების მე-2 ღირებულების 2.2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის ქცევა სასამართლო სხდომის მსვლელობისას და სასამართლოს შენობის გარეთ ხელს უნდა უწყობდეს და ამაღლებდეს საზოგადოების, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისა და სასამართლო პროცესის მხარეთა ნდობის ამაღლებას მოსამართლეთა და სასამართლო ორგანოთა მიუკერძოებლობისადმი, ხოლო ბანგალორის პრინციპების მე-3 ღირებულების 3.2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის ქმედებები და ქცევა უნდა განუმტკიცებდეს საზოგადოებას სასამართლოს პატიოსნების რწმენას. მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ ასევე უნდა არსებობდეს აღქმა საზოგადოებაში, რომ მართლმსაჯულება აღსრულდა.

ამავდროულად, დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად გამოვნილილი ფაქტების შეფასების მიზნით, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს:

1989 წლის 20 ნოემბრის „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპურველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ მიუთითებს სახელმწიფოს შემდეგ ვალდებულებებზე: 1. ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების უფლების კანონმდებლობით უზრუნველყოფა;

2. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისას: ა) ბავშვის მოსაზრებებს უნდა მიენიჭოს სათანადო მნიშვნელობა; ბ) გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვის ყველა სხვა უფლება, მათ შორის, ღირსების, თავისუფლების და თანაბარი მოპყრობის უფლება; გ) გამოყენებული უნდა იქნეს მულტიდისციპლინური მიდგომა ყველა უწყების მიერ, რომელიც შეისწავლის ყველა ინტერესს, მათ შორის, ბავშვის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ კეთილდღეობას, სამართლებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებს. 3. სასამართლოებმა ბავშთა მონაწილეობით საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გამოიყენონ მულტიდისციპლინური მიდგომა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასადგენად პედაგოგიური სტანდარტების გარდა, განსახილველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს არასრულწლოვანთა საპროცესო უფლებებსა და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ნორმებზე.¹

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არასრულწლოვანი არის 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი დაზარალებული, არასრულწლოვანი მოწმე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მიზნებისათვის არასრულწლოვანად ითვლება პირი, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 16 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის – პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.

ამავე კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინება არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები. ამავე კოდექსის 52-ე მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, ოჯახურ დანაშაულთან, ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით დაუშვებელია არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირის/მოწმის და არასრულწლოვანი დაზარალებულის გამოკითხვა/დაკითხვა, აგრეთვე დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემისას და არასრულწლოვანის მიმართ ძალადობის შემთხვევაში სოციალური მუშაკის მიერ არასრულწლოვანის განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვა/დაკითხვა (მისგან ახსნა-განმარტების მიღება) მოძალადე მშობლის (მშობლების) ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულის წარმომადგენს ოჯახში ძალადობა ე.ი. ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამავე კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

ამავე კოდექსის 11¹ მუხლის თანახმად, ოჯახის წევრად ითვლება: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, შვილი (გერი), მინდობით აღსაზრდელი, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მშობელი, შვილის მეუღლე (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი), ყოფილი მეუღლე, წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი, მხარდაჭერის მიმღები, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

¹ იხ. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება გვ. 14

<https://www.unicef.org/georgia/media/1481/file/Legislative%20Analysis%20GEO.pdf>

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალების შესწავლის შედეგად უტყუარად დადგინდა, რომ -- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- განიხილავდა ოჯახური ძალადობის სისხლის სამართლის საქმეს და აღნიშნული საქმის არსებითი განხილვის ფარგლებში, ბრალდების მხარეს სასამართლოში დაკითხვის მიზნით, წარმოდგენილი ჰყავდა ბრალდებულის (სავარაუდო მოძალადის) არასრულწლოვანი შვილები -- -- და -- --.

სისხლის სამართლის საქმის 2020 წლის 24 ნოემბერის სასამართლო სხდომის ოქმის აუდიო და ვიდეო ჩანაწერების შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ მოსამართლემ უგულვებელყო არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და შექმნა მათი მეორეული ვიქტიმიზაციის² საფრთხე. კერძოდ, მოსამართლის გადაწყვეტილებით, სასამართლომ სავარაუდო მოძალადე მამის სხდომათა დარბაზში ყოფნის პერიოდში, მოუსმინა არასრულწლოვნს და ჰკითხა მას იყო თუ არა თანახმა ჩვენება მიეცათ ბრალდებული მამის სისხლის სამართლის საქმეზე.

უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა საპროცესო კანონმდებლობა მოწმის დაკითხვის მსგავს პროცესს არ ითვალისწინებს. ამასთან, საგულისხმოა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 52-ე მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, იმპერატიულად და ცალსახად დადგენილია არასრულწლოვანი საუკეთესო ინტერესი, რაც გამოიხატება დადგენილ წესში, რომ ოჯახში ძალადობასთან დაკავშირები სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს, დაუშვებელია არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირის/მოწმის და არასრულწლოვანი დაზარალებულის გამოკითხვა/დაკითხვა მოძალადე მშობლის (მშობლების) თანდასწრებით. შესაბამისად, მოსამართლის მიერ არასრულწლოვანების დაკითხვის პროცედურის ეტაპზე განხორციელებული ქმედებები, ობიექტური დამკვირვლების თვალში ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს და საფრთხის ქვეშ აყენებს სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობას.

ამდენად, დამოუკიდებელი ინსპექტორი მივიდა დასკვნამდე, რომ მოსამართლე -- -- ქმედება შეიცავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განათვალისწინებული დისციპლინური გადაცომის შესაძლო ჩადენის ნიშნებს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის -- -- №-- განკარგულებით, 2021 წლის -- -- -- -- ადარ ახორციელებს მოსამართლის უფლებამოსილებას, -- -- გამო.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ ან მოსამართლის მიმართ დაწყებული დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

² მეორეული ვიქტიმიზაცია – არასრულწლოვანი დაზარალებულისთვის /არასრულწლოვანი მოწმისთვის შესაძლო ზიანის მიყენება მისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის შედეგად

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოება ხორციელდება მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ. გამომდინარე იქიდან, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, იგი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ დისციპლინური სამართალწარმოების სუბიექტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- -- და -- -- 2020 წლის 14 დეკემბრის №-- საჩივარზე ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი